საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№518 2020 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის მობილიზება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხორციელდება 15 ივნისსა და 15 ნოემბერს;

ბ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს 2020 წლის პირველ ნახევარში წარმოექმნება ფულადი სახსრების დეფიციტი ბიუჯეტით დაგეგმილი ვალდებულებების დასაფინანსებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერის რესურსი გამოიყენოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაცემად.

3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს, 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერიდან დროებითი ფინანსური დახმარების სახით გამოუყოს არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

4. დროებითი ფინანსური დახმარების სარგებლობის ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2020 წლის 1 დეკემბერი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**